

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის „ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.№05.22.06.001) განაშენიანების დეტალური გეგმის“ პროექტი

**სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება:** „ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.№05.22.06.001) განაშენიანების დეტალური გეგმის“ პროექტი

**დამგეგმავი ორგანო:** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი:** ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქ.№20-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ.№05.22.06.001)

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2022 წლის 15 ივნისის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge)

**სტრატეგიული დოკუმენტი** – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ III თავის შესაბამისად და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები;

**სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)** – „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას;

**სკრინინგი** – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას.